

ავტოტრანსპორტის და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ხელშეკრულება/პირობები
#EG/AUTO/RETAIL/22-V1

დაზღვევის წინამდებარე პირობები შედგენილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საკითხები, რომლებიც არ განისაზღვრება ამავე პირობებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

სარჩევი

სექცია I. ზოგადი ტერმინები

სექცია II. ავტოტრანსპორტის ძარის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება
2. დაფარვა
3. ანაზღაურების ოდენობა
4. დამზღვევის ვალდებულებები
5. გამონაკლისები

სექცია III. მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება
2. დაფარვა
3. ანაზღაურების ოდენობა
4. გამონაკლისები

სექცია IV. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება
2. დაფარვა
3. ერთ პირზე ანაზღაურების ოდენობა
4. გამონაკლისები

სექცია V. საერთო პირობები

1. საერთო გამონაკლისები
2. რა არის და როგორ განისაზღვრება სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა
3. პრემიის გადახდა
4. ცვლილება დაზღვევის ხელშეკრულებაში
5. სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტა/გაუქმება
6. სადაზღვევო აქტი
7. დამზღვევის ვალდებულებები/როგორ მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას
8. როგორ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა
9. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმა
10. დავების განხილვის წესი
11. კონფიდენციალურობა

სექცია VI. დამატებითი დაფარვები

**დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

ავტოტრანსპორტის და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის პირობები

წინამდებარე პირობები ძალაშია მზღვეველის მიერ გაცემულ პოლისთან ერთად. პოლისის გარეშე წინამდებარე პირობებს იურიდიული ძალა არ გააჩნია. წინამდებარე პირობებით დადგენილი დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა თანაბრად ვრცელდება უფლებამოსილ მძღოლებზე. დამზღვევი ადასტურებს, რომ წინამდებარე პირობები გააცნო და შეათანხმა უფლებამოსილ მძღოლებთან.

სექცია I. ზოგადი ტერმინები

წინამდებარე დაზღვევის პირობების მიზნებისათვის, ტექსტში გამოყენებულ სიტყვებს/ტერმინებს დაზღვევის ყველა სექციისათვის ენიჭება წინამდებარე მუხლში განსაზღვრული მნიშვნელობა. ხოლო ტერმინები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ რომელიმე ერთი სახის დაზღვევისათვის, მოცემულია შესაბამის სექციებში.

მზღვეველი – სს „სადაზღვევო კომპანია ევროინს ჯორჯია“;

დამზღვევი – პირი, რომელიც აზღვევს ავტოტრანსპორტს, უშუალოდ რომელთანაც ფორმდება დაზღვევის ხელშეკრულება და რომლის ვალდებულებასაც წარმოადგენს სადაზღვევო პრემიის გადახდა;

მოსარგებლე – პოლისში დასახელებული ან დაზღვევის შესაბამისი სახეობიდან გამომდინარე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას;

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა - საავტომობილო გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის შედეგად და მისი მონაწილეობით წარმოქმნილი მოვლენა, რომლის დროსაც დაშავდა ან დაიღუპა ადამიანი, დაზიანდა სატრანსპორტო საშუალება, ტვირთი, ნაგებობა;

აქსესუარები – დაზღვეული ავტოტრანსპორტის დისკები, სარკეები, მონიტორი, GPS და SRS სისტემები, კანტები, მოლდინგი, დამცავი ბუფერი, აუდიო-ვიდეოსისტემები, ნიკელის გარეთა ნაკეთობები, გარდა სათადარიგო ნაწილებისა;

საავტომობილო გზა - მყარი საფარის მქონე (საინჟინრო ნაგებობა) მკავშირებელი სავალი ზოლი, რომლებიც ღიაა საერთო მოძრაობისათვის და განკუთვნილია საკუთარი თვლებით გადაადგილებადი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის, მათ შორის ხიდები, გვირაბები, მზიდი კონსტრუქციები, გზათა გადაკვეთები, გზაჯვარედინები და გზათა განშტოებები, მათ შორის ე.წ. სოფლის გზა და მსგავსი საფარის მქონე გზები, გარდა რკინიგზებისა და ასაფრენ-დასაჯდომი მოედნებისა;

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის შესაბამისი, პრემიის ოდენობა;

გამომუშავებული სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის შესაბამისი, პრემიის ოდენობა;

დაზღვევის მოქმედების პერიოდი (სადაზღვევო პერიოდი) – პოლისში განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დამზღვევის ავტოტრანსპორტი დაზღვეულია და რომლის განმავლობაში დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას წინამდებარე პირობების შესაბამისად;

დაზღვევის ტერიტორია - პოლისში მითითებული ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც ავტოტრანსპორტთან დაკავშირებით მომხდარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას;

დაზღვევის ხელშეკრულება - დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს დაზღვევის გაფორმების შედეგად მზღვეველს და დამზღვევს შორის წარმოშობილ უფლება-მოვალეობებს და რომელიც შედგება სადაზღვევო განაცხადის, პოლისის, მისი დანართის და წინამდებარე პირობებისგან (სადაზღვევო პირობები, მნიშვნელოვანი პირობები);

დაზღვეული ავტოტრანსპორტი (ავტოტრანსპორტი) - პოლისში მითითებული და დამზღვევის/მოსარგებლის მფლობელობაში არსებული ავტოტრანსპორტი;

ერთჯერადი ლიმიტი - გულისხმობს პოლისით გათვალისწინებულ თანხობრივ ლიმიტს, რომლის გამოყენებისთანავე (მიუხედავად იმისა ასეთი ლიმიტი სრულად გაიხარჯა, თუ არა) იგი სრულად ამოწურულად ითვლება;

სადაზღვევო ანაზღაურება – თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გაიცემა მზღვეველის მიერ დამზღვევის, მოსარგებლის, დაზარალებულის ან მისი მემკვიდრის სასარგებლოდ;

სადაზღვევო განაცხადი (განაცხადი) – მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით, დამზღვევის მიერ შევსებული კითხვარი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დასაზღვევი ავტოტრანსპორტის, უფლებამოსილი მძღოლებისა და სხვა მზღვეველითვის საინტერესო გარემოებების შესახებ;

სადაზღვევო თანხა/სადაზღვევო ლიმიტი/ჯამური სადაზღვევო ლიმიტი - პოლისში განსაზღვრული, დაზღვევის თითოეული სექციისთვის სადაზღვევო ანაზღაურების მაქსიმალური ოდენობა, მზღვეველის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ლიმიტი;

**დეკონირებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

ანაზღაურების ლიმიტი - თანხა, რომლის ფარგლებში მოხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა. ანაზღაურების ლიმიტი წარმოადგენს სადაზღვევო თანხას/სადაზღვევო ლიმიტს/ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს გამოკლებული სადაზღვევო პერიოდში უკვე ანაზღაურებული თანხები;

სადაზღვევო პოლისი (პოლისი) - მზღვეველის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაზღვევის ხელშეკრულების დადებას წინამდებარე პირობების შესაბამისად;

სადაზღვევო პრემია (პრემია) - თანხა, რომელსაც იხდის დამზღვევი დაზღვევის შესაძენად;

სადაზღვევო შემთხვევა - დაზღვეული რისკის ხდომილების შედეგად დამდგარი შემთხვევა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშება მზღვეველის ვალდებულება ანაზღაუროს ზარალი დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

უფლებამოსილი მძღოლი - თუ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, არანაკლებ 21 წლის ასაკის და მინიმუმ ერთი წლის გამოცდილების (იმ კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის, რომლის დაზღვევაც ხდება) მქონე პირი/პირები, ამასთან, რომელიც პოლისში განსაზღვრულია როგორც უფლებამოსილი მძღოლი და რომლის მიერ ავტოსატრანსპორტის მართვისას დაზღვევა არის ძალაში;

ფრანშიზა (არანაზღაურებადი მინიმუმი) - თანხა, რომელიც არ ექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ზარალის თანხის ოდენობას;

გამონაკლისი - შემთხვევა, მიუხედავად მისი გამომწვევი მიზეზისა, რომელიც წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად არ ითვლება სადაზღვევო შემთხვევად და არ ექვემდებარება ანაზღაურებას;

მესამე პირი - ნებისმიერი პირი, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას ზიანი მიადგა დაზღვეული ავტოსატრანსპორტის ექსპლუატაციის შედეგად, გარდა დაზღვეული ავტოსატრანსპორტის მძღოლის და მგზავრ(ებ)ისა;

სუბროგაცია - დამზღვევისთვის (დაზღვეული, მოსარგებლე) სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდგომ მზღვეველის უფლება დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები სადაზღვევო შემთხვევის დადგომაში ბრალეული მხარისაგან.

სექცია II. ავტოსატრანსპორტის ძარის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

ავტოსატრანსპორტის საბაზრო ღირებულება - ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე წინამდებარე პირობების შესაბამისად გაცემული სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულის ანალოგიური მარკის, მოდელის და სხვა მახასიათებლების მქონე სატრანსპორტო საშუალების შესაძენად;

სრული დაზიანება (განადგურება) - მზღვეველი უფლებამოსილია მიანოჭოს ავტოსატრანსპორტს სრული დაზიანების სტატუსი იმ შემთხვევაში, როდესაც მისი აღდგენის ღირებულება საბაზრო ღირებულების 60%-ს აღემატება;

ვანდალიზმი - წინამდებარე დაზღვევის მიზნებისათვის ვანდალიზმი ნიშნავს მესამე პირის მიერ ავტოსატრანსპორტის განზრახ დაზიანებას ან განადგურებას. სადაზღვევო დაფარვა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც დაწყებულია სისხლის სამართლის საქმე/შესაბამისი საგამომიებო მოქმედებები;

ქურდობა - ავტოსატრანსპორტის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

ძარცვა - ავტოსატრანსპორტის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით;

ყაჩაღობა - ავტოსატრანსპორტის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ან/და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით;

მესამე პირის გაუფრთხილებელი ქმედება - მესამე პირის ისეთი ქმედება, როდესაც მისი ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას, ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი.

2. დაფარვა

2.1. სადაზღვევო დაფარვა ვრცელდება მატერიალურ ზარალზე, რომელიც მოჰყვა დაზღვეული ავტოსატრანსპორტის (ძარის, ქარხნულად დამონტაჟებული ნაწილების/მოწყობილობების) დაკარგვას, დაზიანებას ან მთლიან განადგურებას, რომელიც გამოწვეულია პოლისში მითითებული დაზღვეული რისკ(ებ)ით. პოლისში მითითებული რისკების ჩამონათვალი არ შეიძლება იყოს უფრო ფართო, ვიდრე 2.2 პუნქტში განსაზღვრულისა;

2.2. თუ შესაბამისი სადაზღვევო პოლისით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, წინამდებარე პირობების საფუძველზე დაზღვეული რისკებია:

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა
- ხანძარი / აფეთქება

**დეკონირებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

- მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება - ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ვანდალიზმი
- საგნების ვარდნა
- მინების ან სხვა მსხვერველადი ნაწილების (მაშუქი (ფარი), დამატებითი მაშუქი, და სხვა) ასხლეტილი ქვით ან კენჭით დაზიანება
- სტიქიური მოვლენები: წყალდიდობა, დიდთოვლობა, მეწყერი, ქარი (ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით), მიწისძვრა და სეტყვა

3. ანაზღაურების ოდენობა

- 3.1. ქურდობის, ძარცვის ან ყაჩაღობის შედეგად ავტოტრანსპორტის დაკარგვის შემთხვევაში:
- დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე მიიღებს სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულების შესაბამის თანხას, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა უკვე გაცემული ანაზღაურებ(ებ)ის, დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიისა (მათ შორის გამოუმუშავებელი, ასეთის არსებობისას) და ფრანშიზის გამოკლებით, ან მზღვეველი საკუთარი შეხედულებისამებრ, დამზღვევის სასარგებლოდ შეიმჩნეს ანალოგიურ (მარკის, მოდელისა და სხვა ტექნიკური მახასიათებლების შესაბამის) ავტოტრანსპორტს სადაზღვევო თანხის ფარგლებში, უკვე გაცემული ანაზღაურებ(ებ)ის, დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიისა (მათ შორის გამოუმუშავებელი, ასეთის არსებობისას) და ფრანშიზის გამოკლებით.
- 3.2. ავტოტრანსპორტის სრული დაზიანების (განადგურების) შემთხვევაში:
- დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე მიიღებს სადაზღვევო შემთხვევის მომენტისათვის ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულების შესაბამის თანხას, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა, უკვე გაცემული ანაზღაურებ(ებ)ის, დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიისა (მათ შორის გამოუმუშავებელი (ასეთის არსებობისას) და ფრანშიზის გამოკლებით, ან მზღვეველი საკუთარი შეხედულებისამებრ, დამზღვევის სასარგებლოდ შეიმჩნეს ანალოგიური მარკის, მოდელისა და სხვა მახასიათებლების ავტოტრანსპორტს სადაზღვევო თანხის ფარგლებში, უკვე გაცემული ანაზღაურებ(ებ)ის, დარჩენილ სადაზღვევო პერიოდზე გადასახდელი სადაზღვევო პრემიისა (მათ შორის გამოუმუშავებელი) და ფრანშიზის გამოკლებით.
- 3.3. შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის ევაკუირების ხარჯები შეთანხმებულ შემკეთებელ პუნქტამდე, გადაიხდება მზღვეველის მიერ და აკლდება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით განსაზღვრულ სადაზღვევო თანხას;
- 3.4. ავტოტრანსპორტის ნაწილობრივი დაზიანებისას:
- მზღვეველი აანაზღაურებს, ავტოსატრანსპორტო საშუალების სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენითი სამუშაოების ღირებულებას, გამოკლებული პოლისით გათვალისწინებული ფრანშიზის ოდენობა.
 - თუკი ავტოსატრანსპორტო საშუალების ასაკი აღემატება 3 წელს ან/და დაზიანებული ნაწილი არ ექვემდებარება აღდგენას, მზღვეველი უფლებამოსილია აანაზღაუროს თანხა, რომელიც დაანგარიშდება მეორადი ქარხნული კომპლექტაციით გათვალისწინებული დეტალების ღირებულებიდან;
 - იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევთან შეთანხმებით ავტოტრანსპორტი მზღვეველის მიერ მითითებულ შემკეთებელ პუნქტში იქნა გადაყვანილი შესაკეთებლად/სარემონტოდ, დამზღვევი გადაიხდის მხოლოდ ფრანშიზის ოდენობას, ხოლო დანარჩენი ხარჯები დამზღვევის თანხმობით (რაც დასტურდება ზიანის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილებაზე (სადაზღვევო აქტი) დამზღვევის ხელმოწერით) მზღვეველის მიერ აუნაზღაურდება უშუალოდ შემკეთებელ პუნქტს.
 - თუ დამზღვევს არ სურს მზღვეველის მიერ შემოთავაზებულ შემკეთებელ პუნქტში ავტოტრანსპორტის გადაყვანა, მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას მას შემდეგ, რაც დამზღვევი წარუდგენს ხარჯთაღრიცხვას (ანგარიშგაქტურას, ინვოისს), თუმცა, მზღვეველი უფლებამოსილია გასცეს ანაზღაურება მზღვეველის შემკეთებელი პუნქტის მიერ მოწოდებული გაანგარიშების ფარგლებში, ფრანშიზის გათვალისწინებით (გამოკლებით).
- 3.5. თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის ასაკი არ აღემატება 3 (სამი) წელს და ამასთანავე, მასზე მოქმედებს სპეციალიზებული სერვის ცენტრის საგარანტიო მომსახურება, შეკეთების ღირებულების განსაზღვრისას მზღვეველი დაეყრდნობა ასეთი ცენტრის კალკულაციას, სხვა დანარჩენ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია თავად შეარჩიოს სერვის ცენტრი და სადაზღვევო ანაზღაურება გასცეს საბაზრო ფასებიდან გამომდინარე. საქართველოს ფარგლებს გარეთ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დამდგარი ზიანი, ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის პირობით. ამავდროულად, ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საშუალო საბაზრო ფასების მიხედვით.

დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე

- 3.6. თუ სადაზღვევო თანხა ნაკლებია ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, ანუ ადგილი აქვს შემცირებულ (არასრულ) დაზღვევას, სადაზღვევო ანაზღაურების გამოანგარიშებისას გამოიყენება პროპორციულობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ანაზღაურების გაცემას იმ პროპორციით, რა პროპორციაშიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვევის მომენტისათვის ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულებასთან. ამასთან, ფრანშიზა გამოიქვეითება პროპორციულობის მეთოდის მიყენების შემდეგ.
- 3.7. იმ შემთხვევაში, თუ ავტოტრანსპორტის დაკარგვა/განადგურებამდე გაცემული იყო ანაზღაურება და არ მოხდა სადაზღვევო თანხის აღდგენა, ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლდება უკვე გაცემული თანხა.
- 3.8. თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ, სრული ზარალის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას საკუთრების უფლება დაზიანებულ ავტოტრანსპორტზე, ხოლო ნაწილობრივი დაზიანებისას/ზარალისას ავტოტრანსპორტის ცალკეულ ნაწილებზე გადაეცემა მზღვეველს. შესაბამისად, დამზღვევი ვალდებულია ხელი მოაწეროს ყველა იმ დოკუმენტს და შეასრულოს ყველა მოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და აუცილებელია აღნიშნული მიზნისათვის. ამასთან, თუკი ავტოტრანსპორტი არ წარმოადგენს დამზღვევის საკუთრებას, დამზღვევი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულია უზრუნველყოს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მოქმედებების უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელება.
- ზემოაღნიშნული უფლების რეალიზაცია მზღვეველის მიერ შეიძლება განხორციელდეს ავტოტრანსპორტზე/მის ცალკეულ ნაწილებზე საკუთრების უფლების მზღვეველზე გადასვლით, ან დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის/მისი ცალკეული ნაწილების რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით. თუკი დამზღვევის ავტოტრანსპორტი/მისი ცალკეული ნაწილები საკუთრებაში რჩება დამზღვევს, მათი შესაბამისი ღირებულება აკლდება სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობას. ამასთან, ავტოტრანსპორტის/მისი ცალკეული ნაწილის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს დამზღვევი წინასწარ ათანხმებს მზღვეველთან. თუკი დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის/მისი ცალკეული ნაწილების მზღვეველისთვის გადაცემის ვალდებულების დარღვევის შედეგად, მზღვეველის მიერ ვერ განხორციელდება/რეალიზდება სუბროგაციული მოთხოვნა ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ, მზღვეველი თავისუფლდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულებისაგან, ხოლო უკვე გაცემულის შემთხვევაში, მზღვეველს წარმოეშვება უფლება მოითხოვოს მისი დაბრუნება მოსარგებლე/დამზღვევისგან.
- 3.9. თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტი ერთდროულად რამდენიმე მზღვეველთან არის დაზღვეული (ორმაგი დაზღვევა), დამზღვევი ვალდებულია ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის ავტოტრანსპორტი რამდენიმე მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან, მაშინ მზღვეველები მოვალენი იქნებიან დამზღვევის წინაშე, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რაც მზღვეველებს დამზღვევთან დადებული ხელშეკრულებით აქვთ გაფორმებული, მაგრამ დამზღვევს არა აქვს უფლება, მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.
- ორმაგი დაზღვევის არსებობა წარმოადგენს არსებით გარემოებას და აღნიშნული ინფორმაციის მოუწოდებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე პირობები და შესაბამისი სადაზღვევო პოლისი. ამასთან, შემთხვევები (ასეთის არსებობისას) არ დაექვემდებარება ანაზღაურებას და დამზღვევს არ დაუბრუნდება გადახდილი პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია დააბრუნოს ანაზღაურების სახით მიღებული თანხები.
 - ამასთან, თუკი დამზღვევი განხორციელებს ორმაგ დაზღვევას მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით და დადასტურდება, რომ წინამდებარე დაზღვევის პირობები და სადაზღვევო პოლისი დამზღვევის მიერ გაფორმებულია მართლსაწინააღმდეგო შემოსავლის მიღების მიზნით, მაშინ წინამდებარე პირობები და შესაბამისი პოლისი ჩაითვლება ბათილად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შემთხვევები (ასეთის არსებობისას) არ დაექვემდებარება ანაზღაურებას და დამზღვევს არ დაუბრუნდება გადახდილი პრემიის გამოუმუშავებელი ნაწილი, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი ვალდებულია დააბრუნოს ანაზღაურების სახით მიღებული თანხები.
- 3.10. მხარეები თანხმდებიან, რომ სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობას (დაზღვევის ნებისმიერი სახეობისთვის), აკლდება ანაზღაურების გაცემის თარიღისათვის დამზღვევის/დაზღვეულის ფინანსური ვალდებულება მზღვეველის მიმართ.;
- 3.11. სადაზღვევო შემთხვევის შედეგად სრულად ან ნაწილობრივ დაზიანებული, დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების/მისი დაზიანებული ნაწილების მზღვეველისთვის გადაცემამდე,

**დეკონირებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

მზღვეველი უფლებამოსილია სადაზღვევო ანაზღაურება გასცეს დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების/მისი დაზიანებული ნაწილების ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, ხოლო აღნიშნული ნაწილების ან დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების გადმოცემის შემდეგ, გასცეს (შეავსოს) დარჩენილი სადაზღვევო ანაზღაურება.

4. დამზღვევის ვალდებულებების შესახებ

საერთო ნაწილში ჩამოთვლილ ვალდებულებებთან ერთად, ამ სექციით გათვალისწინებული დაზღვევის მიზნებისათვის, დამზღვევი ვალდებულია:

- 4.1. მზღვეველის მხრიდან გატაცების საწინააღმდეგო სისტემის დაყენებაზე მოთხოვნისთანავე აღჭურვის ავტოსატრანსპორტი ამგვარი სისტემით და უზრუნველყოს მისი გამართულ სამუშაო მდგომარეობაში ყოფნა. ხოლო, თუ გატაცების საწინააღმდეგო სისტემა დამონტაჟდება სადაზღვევო პოლისის გაფორმების შემდეგ, დამზღვევმა უნდა წარუდგინოს მზღვეველს ამგვარი ფაქტის დამადასტურებელი საბუთი;
- 4.2. ავტოსატრანსპორტის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში, ჩაკეტოს იგი და დარწმუნდეს, რომ ყველა გატაცების საწინააღმდეგო სისტემა ჩართულია;
- 4.3. გამოიყენოს ავტოსატრანსპორტი მხოლოდ პოლისში მითითებული დანიშნულებით და დაიცვას ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების ინსტრუქციები;
- 4.4. არ დატოვოს ავტოსატრანსპორტის სარეგისტრაციო საბუთები ავტოსატრანსპორტში; სარეგისტრაციო საბუთების ქურდობის, ან სხვა გზით დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს და პოლიციას;
- 4.5. სრული ზარალის/განადგურების შემთხვევაში ავტომობილზე საკუთრების უფლების მზღვეველზე გადასაცემად უზრუნველყოს ავტომობილის მფლობელობასთან და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ადმინისტრაციული ჯარიმის, საურავისა და ხარჯის დაფარვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ხარჯები გამოაკლდება მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობას;
- 4.6. დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების შემდეგ ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების დასრულებიდან არაუგვიანეს ორი (2) სამუშაო დღისა მიაწოდოს მზღვეველს ავტოსატრანსპორტო საშუალების შეკეთების დამადასტურებელი ფოტო მასალა რომელშიც მკაფიოდ უნდა ჩანდეს შეკეთების/აღდგენის შედეგები. ფოტოების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგი ელ. ფოსტის საშუალებით photos@euroins.ge ან მზღვეველის ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ილო მოსაშვილის ქ. #24 ავტოსატრანსპორტო საშუალების მიყვანისა და მზღვეველის წარმომადგენლის მიერ დასურათების გზით. წინამდებარე პუნქტით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს შემდგომში დამდგარი შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანი.

5. გამონაკლისები

- 5.1. არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც შედეგად მოჰყვება:
 - გასაღების ავტოსატრანსპორტში/ზე დატოვებას;
 - გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისათვის გადაცემას;
 - შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან/და კარების ღიად დატოვებას;
 - საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევამდე არსებულ მუხრუჭების მექანიკურ ან ელექტრონულ წუნს/დაზიანებას.
- 5.2. ასევე არ ანაზღაურდება:
 - ზარალი, რომელიც გამოწვეულია ავტოსატრანსპორტის თაღლითური გზით დაუფლებით;
 - არ ანაზღაურდება გაჩერებული დაზღვეული ავტოსატრანსპორტის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანება/განადგურება, რა დროსაც დამზღვევი დაუყოვნებლივ არ დაუკავშირდა მზღვეველს და/ან დაძრა ავტოსატრანსპორტი შემთხვევის ადგილიდან მზღვეველის წარმომადგენლების მისვლამდე და მათ მიერ სიტუაციის შესწავლამდე (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ფოტოგრაფირება);
 - მექანიზმებისა და ელექტრომომწყობილების გაფუჭებით, მწყობრიდან გამოსვლის, გატეხვის შედეგად დამდგარი ზიანი;
 - ძრავის, სიჩქარეების გადაცემათა კოლოფის ნებისმიერი დაზიანება, გარდა სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული დაზიანებისა;
 - ცვეთის, მიმდინარე შეკეთების, პროფილაქტიკური მომსახურების ხარჯები;
 - დაზღვევის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელებული შეკეთების ხარჯები;
 - საბურავ(ებ)ის, დისკ(ებ)ის ცალკეული დაზიანებას, რაც არ არის გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით;

დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე

- ავტოტრანსპორტის გაუფასურება შეკეთების შედეგად, მიუხედავად იმისა ასეთი შეკეთება სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით ჩატარდა თუ არა;
- შემთხვევა ქურდობის რისკზე, თუ ასეთის დროს ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა დატოვებული იყო გატაცებულ ავტოტრანსპორტში;
- დაზიანებას/დაკარგვას/განადგურებას რაც არ არის გამოწვეული დაზღვეული რისკებით;
- ზარალი, რომელიც დადგა სადაზღვევო პოლისის ძალაში შესვლამდე;
- ავტოტრანსპორტის საქარხნო კომპლექტაციისგან განსხვავებული დეტალების შექმნისა და დაყენების ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი დეტალები დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტისათვის დაყენებული იყო ავტოტრანსპორტზე და მზღვეველმა ამაზე თანხმობა გასცა და აღნიშნული დეტალების დაზღვევა გათვალისწინებულია შესაბამისი სადაზღვევო პოლისით;
- ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გაწეული ხარჯები;
- ავტომობილის იმ ნაწილების შეკეთების/ჩანაცვლების/აღდგენის ხარჯებს, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე ან სადაზღვევო პერიოდის დაწყებამდე აღენიშნებოდა დაზიანება;
- დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაში არსებული ნებისმიერი ნივთის, მათ შორის ტელე/აუდიო/რადიო აპარატურის, ელექტრონული ინფორმაციის მატარებლის, ტელეფონების, - ფულის, დოკუმენტების, და ა.შ. დაკარგვა/დაზიანება/განადგურება;
- ტენტები, ტენტის მექანიზმი, შალითები, საღებავის დამცავი ფირების ღირებულება;
- დამზღვევის ნებისმიერი არაპირდაპირი ზიანი (მიუღებელი შემოსავალი), რომელიც სადაზღვევო შემთხვევის შედეგაა;
- დაზღვეული ავტომობილის მესაკუთრის ან/და მძღოლისათვის დაკისრებული ადმინისტრაციულ თუ სხვა სახის ჯარიმა, ასევე, საჯარო სადგომზე დგომის ხარჯები,
- სახელმწიფოს შესაბამისი, უფლებამოსილი ორგანოების მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის/სხვაგვარი შეზღუდვის შედეგად გამოწვეული ზარალი;
- საკეტების გამოცვლა, თუ გასაღებები მოპარულია ან დაკარგული.

სექცია III. მესამე პირის (პირთა) წინაშე წარმოქმნილი პასუხისმგებლობის დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

დაზღვეული პირი - დამზღვევი, უფლებამოსილი მძღოლი.

2. დაფარვა

სადაზღვევო შემთხვევას წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის მიერ დაზღვევის მოქმედების პერიოდში ავტოტრანსპორტის მართვის შედეგად მესამე პირების სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანი.

3. ანაზღაურების ოდენობა

3.1. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და დამზღვევსა და მზღვეველს შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურდება შემდეგი:

- დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;
- მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება პოლისში მითითებული ჯამური სადაზღვევო ლიმიტის 20% ის ფარგლებში), თუ ისინი წერილობით იყო მზღვეველთან შეთანხმებული;
- დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;
- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირი(ებ)სათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი შემდგომი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

3.2. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს პოლისით განსაზღვრულ ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს, მოიცავს შემდეგს:

**დეკონირებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

- მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:

- ა) სტაციონარული ან ამბულატორიული მკურნალობის ხარჯები;
- ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის, მედიკამენტების, საკვები დანამატების, პროთეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;
- გ) შრომისუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვისას დოკუმენტურად დადასტურებული შრომის ანაზღაურება, რომელიც დაკარგა დაზარალებულმა შრომისუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის გამო, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევამდე 1 წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის შემოსავლისა.
- დ) შრომისუნარიანობის მიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვისას დოკუმენტურად დადასტურებული ბოლო ერთი წლის შრომის ანაზღაურების 70%.
- ე) შრომისუნარიანობის ზომიერად გამოხატული შეზღუდვისას დოკუმენტურად დადასტურებული ბოლო ერთი წლის შრომის ანაზღაურების 50%.
- ვ) შრომისუნარიანობის მსუბუქად გამოხატული შეზღუდვისას დოკუმენტურად დადასტურებული ბოლო ერთი წლის შრომის ანაზღაურების 35%.

ზ) გარდაცვალებისას - არსებული სადაზღვევო თანხის 100%, არაუმეტეს ხელფასის წლიური ოდენობა.

წინამდებარე პირობების მიზნებისთვის შრომის ანაზღაურება მოიცავს ხელფასს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გამოკლებით.

იმ შემთხვევაში თუ მესამე პირი (მისი სამართალმემკვიდრე) ვერ ადასტურებს შრომის ანაზღაურების ოდენობას - არაუმეტეს თვეში 200 ლარისა, 12 თვის განმავლობაში.

- თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგა, ჯამური სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, მზღვეველი აანაზღაურებს:

- ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში – ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობას, განადგურებული ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების (რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია) ღირებულების გამოქვითვით;
- ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში – დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ან ჩანაცვლების ხარჯებს;

3.3. ერთი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევით გამოწვეული პასუხისმგებლობა განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად;

3.4. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს;

3.5. პოლისში ქველიმიტის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების ოდენობა იზღუდება ამგვარი ქველიმიტის გათვალისწინებით;

3.6. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება გამოსაყენებელ ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში გამოსაყენებელი ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

4. გამონაკლისები

საერთო ნაწილში ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად დაზღვევა არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება:

- 4.1. დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის ან მგზავრების გარდაცვალებაზე ან მათი ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანზე;
- 4.2. პიროვნების გარდაცვალებაზე ან სხეულის დაზიანებაზე, რომელიც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის დროს იმყოფებოდა სამსახურებრივ/შრომით ურთიერთობაში დაზღვეულ პირთან;
- 4.3. შემთხვევაზე, როდესაც დაზარალებული წარმოადგენს: დამზღვევს, მოსარგებლეს, უფლებამოსილ მძღოლს, დაზღვეული ავტომობილის მგზავრს ან/და დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლის/ავტოტრანსპორტის მესაკუთრის ნათესავს ან/და თანამშრომელს;
- 4.4. ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს დამზღვევის/მოსარგებლის/უფლებამოსილი მძღოლ(ებ)ის/ავტოტრანსპორტის მესაკუთრის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება დამზღვევთან/მოსარგებლესთან/უფლებამოსილ მძღოლ(ებ)თან, გადაიზიდება ავტოტრანსპორტით ან ავტოტრანსპორტზე მიმავრებული ნებისმიერი მისაბმელით;

**დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

- 4.5. პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოიშვა დაზღვეული პირის ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების, შეთანხმების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამგვარი პასუხისმგებლობა ისედაც იგულისხმებოდა უხელშეკრულებოდ;
- 4.6. დაზარალებული პირისათვის გადახდილი კომპენსაცია/დაზარალებული პირის წინაშე აღებული ან აღიარებული პასუხისმგებლობა, თუ ამგვარი მოხდა მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 4.7. არ ანაზღაურდება მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

სექცია IV. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობები

1. ტერმინთა განმარტება

დაზარალებული – ავტოტრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლი ან/და მგზავრი, რომელიც სადაზღვევო პერიოდში მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად გარდაიცვლება ან რომლის ჯანმრთელობასაც მიადგება ზიანი;

უბედური შემთხვევა – უეცარი და მოულოდნელი მოვლენა, რომელმაც თავის მხრივ განაპირობა უფლებამოსილი მძღოლისა და/ან მგზავრების სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფა;

ლიმიტი ერთ პირზე – პოლისში განსაზღვრული, ერთ პირზე ანაზღაურების გადახდის ზღვრული ოდენობა;

შრომისუნარიანობის მუდმივი დაკარგვა – ადამიანის კიდურის/ორგანოს ფუნქციის სრული, მუდმივი და აღუდგენელი მოშლა ან ფიზიკური დაკარგვა (ფუნქციის მუდმივი მოშლა დგინდება სადაზღვევო შემთხვევის მომენტიდან 12 თვის თავზე).

2. დაფარვა

ამ სექციით იფარება სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში ავტოტრანსპორტში ყოფნის დროს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მძღოლის/ მგზავრის სხეულის დაზიანება/ჯანმრთელობის გაუარესება/გარდაცვალება.

3. ერთ პირზე ანაზღაურების ოდენობა

3.1. სადაზღვევო პოლისით განისაზღვრება ჯამური ლიმიტი დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, ხოლო ქველიმიტი თითოეული ადგილისათვის განისაზღვრება ჯამური ლიმიტის შეფარდებით ადგილების რაოდენობასთან. ამასთან, დაზღვეული ადგილების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო მოწმობაში და/ან ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მითითებული ადგილების მაქსიმალურ რიცხვს.

3.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, თითოეულ დაზარალებულზე/მის უფლებამოსილ წარმომადგენელზე, პოლისით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, მზღვეველი ანაზღაურებს:

- სამედიცინო დაწესებულებამდე მიყვანის და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო ღონისძიებების ხარჯები;
- სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის ხარჯები;
- შრომისუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვისას დოკუმენტურად დადასტურებული შრომის ანაზღაურება, რომელიც დაკარგა დაზარალებულმა შრომისუნარიანობის მკვეთრად გამოხატული შეზღუდვის გამო, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო შემთხვევამდე 1 წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის შემოსავლისა.
- შრომისუნარიანობის მინშენლოვნად გამოხატული შეზღუდვისას დოკუმენტურად დადასტურებული ბოლო ერთი წლის შრომის ანაზღაურების 70%.
- შრომისუნარიანობის მსუბუქად გამოხატული შეზღუდვისას დოკუმენტურად დადასტურებული ბოლო ერთი წლის შრომის ანაზღაურების 35%.
- მძღოლის ან/და მგზავრ(ებ)ის გარდაცვალებისას - არსებული სადაზღვევო თანხის 100%, არაუმეტეს ხელფასის წლიური ოდენობა.

ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის შრომის ანაზღაურება მოიცავს ხელფასს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გამოკლებით.

იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული პირი (მისი სამართალმემკვიდრე) ვერ ადასტურებს შემოსავალს - არაუმეტეს თვეში 200 ლარისა, 12 თვის განმავლობაში.

3.3. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამდენიმე ადამიანის მიერ სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს),

**დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

ანაზღაურება თითოეული დაზარალებული პირისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში ჯამური სადაზღვევო ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

3.4. ამ სექციის მიხედვით ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის ოდენობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს ჯამურ სადაზღვევო ლიმიტს.

4. გამონაკლისები

საერთო ნაწილში ჩამოთვლილ გამონაკლისებთან ერთად, არ ანაზღაურდება ასევე: ჯანმრთელობის გაუარესება / გარდაცვალება თუ ასეთი შემთხვევა დადგება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომენტიდან 12 თვის გასვლის შემდეგ, ნებისმიერი სახელმწიფო, მუნიციპალური სამედიცინო/ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების ხარჯები, დაზღვეული ავტოტრანსპორტის მძღოლის და/ან მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ იგი დადგება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

სექცია V. საერთო პირობები

1. საერთო გამონაკლისები

ქვემოთ მოცემული გამონაკლისები გამოიყენება ყველა დაზღვევასთან მიმართებაში. არ ანაზღაურდება ზარალი, რომელიც მოყვა:

- 1.1. მართვის მოწმობის არმქონე მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვას;
- 1.2. ავტოტრანსპორტის მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში ყოფნას;
- 1.3. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას, როდესაც დაზღვეულ ავტოტრანსპორტს მართავდა არა უფლებამოსილი;
- 1.4. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას, რომელიც დადგა ავტობუსისთვის განსაზღვრულ ზოლში მოძრაობისას ან აღნიშნულ ზოლში მოძრაობის წესების დარღვევისას;
- 1.5. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას, რომელიც დადგა ისეთ ვითარებაში, როდესაც უფლებამოსილი მძღოლი მართავდა დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას მართვისთვის შეუფერებელ მდგომარეობაში;
- 1.6. ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციას/მართვას ალკოჰოლური (ფქსიქოტროპული ან ნარკოტიკული) ნივთიერების/საშუალების ზემოქმედების ქვეშ;
- 1.7. ავტოტრანსპორტის მართვას არაუფლებამოსილი პირის/მძღოლის მიერ, გარდა ქურდობა/მარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით ავტოტრანსპორტისათვის მიყენებული დაზიანებისა;
- 1.8. ავტოტრანსპორტის გამოყენებას კომერციული მიზნით (მაგალითად გაქირავება, ავტოსატრანსპორტის გამოყენება მგზავრების ან/და ტვირთის ტრანსპორტირებისათვის უშუალოდ ამგვარი საქმიანობიდან შემოსავლის მიღების მიზნით (მაგალითად ტაქსის მომსახურება ან/და ტაქსად რეგისტრაცია) და სხვა), თუ ამგვარი გამოყენება არ არის ასახული პოლისში, მიუხედავად იმისა თუ შემთხვევის მომენტში რა მიზნით ხდებოდა ავტოსატრანსპორტის ექსპლუატაცია;
- 1.9. ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას;
- 1.10. ავტოტრანსპორტის გადატვირთვას, რაც გულისხმობს დასაშვებზე მეტი მგზავრების გადაყვანას ან დასაშვებზე მეტი წონის ბარგის გადატანას;
- 1.11. ავტოტრანსპორტის გადაადგილებას არასავტომობილო გზაზე;
- 1.12. დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო ავტოტრანსპორტის საჯარიმო გადაყვანის/გადაადგილების დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას დაზიანება/განადგურება/დაკარგვა;
- 1.13. ნებისმიერ შემთხვევას, რომელიც მოხდა ავტოტრანსპორტის გასხვისების შემდეგ, თუკი მზღვეველს ამგვარი გასხვისების შესახებ არ ეცნობა გასხვისებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა და მზღვეველმა არ შეიტანა პოლისში შესაბამისი ცვლილება;
- 1.14. შემთხვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ დაზღვევის ტერიტორიის გარეთ;
- 1.15. დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვას/ყოფნას სამშენებლო ტერიტორიაზე/მოედანზე, აეროპორტის/აეროდრომის ტერიტორიაზე, რომელიც განკუთვნილია თვითმფრინავების ასაფრენ-დასაფრენად/გადასაადგილებლად/სადგომად/მომსახურებისათვის და ა.შ. განკუთვნილ გზად, ტერმინალისთვის, საბაჟო შემოწმებისთვის;
- 1.16. იონიზირებულ რადიაციას, ბირთვულ ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებულ რადიაციას და დაზიანებებს; რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებას;

დეკონირებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე

- 1.17. რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა საშიში ნივთიერებების ტრანსპორტირებას;
- 1.18. საომარ მოქმედებებს, მიუხედავად იმისა ომი გამოცხადებულია, თუ არა; დაპყრობას, სამოქალაქო ომს, მასობრივ არეულობას, აჯანყებას, დიქტატორულ რეჟიმს, საგანგებო მდგომარეობას, გაფიცვას, სამოქალაქო მღელვარებას; ტერორიზმს ან მის ნებისმიერ გამოვლინებას, ასევე სხვა ფორსმაჟორულ გარემოებებს, დაზღვეული ფორსმაჟორულ რისკების გარდა და თუ დამდგარი შემთხვევა შედეგად მოყვა ასეთ გარემოებებს;
- 1.19. სახელმწიფოს სახელით მოქმედი ნებისმიერი ორგანოს/უწყების გადაწყვეტილების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემა ან ჩამორთმევა ან ამგვარის მცდელობას.
- 1.20. დაზღვევა არ ვრცელდება ანაზღაურების იმ მოცულობაზე, რომელიც უნდა ყოფილიყო გაცემული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ფარგლებში მიუხედავად იმისა, შეძენილია აღნიშნული დაზღვევა თუ არა.
- 1.21. ზარალი გამოწვეულია ან დაზღვეული ავტოსატრანსპორტის მდგომარეობა გაუარესებულია სადაზღვევო შემთხვევამდე არსებული დაზიანებით.
- 1.22. დაზღვევის მომენტისთვის არსებული დაზიანებული ნაწილის ხელმეორედ დაზიანება
- 1.23. დამზღვევის მიერ ზიანთან/ზარალთან დაკავშირებულ ნებისმიერ გაწყულ ხარჯს მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- 1.24. ავტოსატრანსპორტის ან/და მისი ცალკეული ნაწილების/დეტალების გაუმართაობას ან დაზღვეული ავტოსატრანსპორტი მართვისას გამოუსადეგარ მდგომარეობაში ყოფნას;
- 1.25. ავტოსატრანსპორტის გამოყენებას ანაზღაურების სანაცვლოდ მგზავრთა გადაყვანის/ტვირთის გადაზიდვის მიზნით ან ავტოსატრანსპორტი იყო გაქირავებული, თუ ამგვარი გამოყენება წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან და მითითებული სადაზღვევო განაცხადში;
- 1.26. დაზღვეული ავტოსატრანსპორტის მძღოლის მიერ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას;
- 1.27. დაზღვეული ავტომობილის მონაწილეობას ნებისმიერი სახის რბოლაში ან ნებისმიერი სახით გამოცდისას (მათ შორის Off Road, Test Drive);
- 1.28. უხეში გაუფრთხილებლობით დამდგარი ზიანი, ამასთან, წინამდებარე დაზღვევის პირობების მიზნებისთვის უხეში გაუფრთხილებლობად მიიჩნევა: უფლებამოსილი მძღოლის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დაშვებული ზღვრული სიჩქარის 20კმ საათით გადაჭარბების შედეგად, უფლებამოსილი მძღოლის მიერ შუქნიშნის ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნის დაუმორჩილებლობა, უფლებამოსილი მძღოლის მიერ ცალმხრივი მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში საპირისპირო მიმართულებით მოძრაობის, ან საპირისპირო მიმართულებით მობრუნების ან ცენტრალური გზიდან გადახვევის მიზნით, ორმაგი და უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთის წესების დარღვევა, რკინიგზის გადასასვლელზე მობრუნება ან გავლის წესების დარღვევა, გვირაბებში, ხიდებსა და ესტაკადებზე დგომა - გაჩერება, გარდა, კანონმდებლობით დაშვებული შემთხვევებისა;
- 1.29. ასევე, ანაზღაურებას არ ექვემდებარება შემდეგი შემთხვევები, როდესაც:
 - დაზარალებულმა განზრახ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან;
 - დამზღვევმა ვერ წარმოადგინა რისკის შეფასების/სადაზღვევო შემთხვევის აღიარების/ სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისათვის საჭირო ინფორმაცია (დოკუმენტები), ან აღნიშნული ინფორმაცია/დოკუმენტები არის არაზუსტი ან ყალბი;
 - დამზღვევმა, მზღვეველთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე, აღიარა მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა, გადაუხადა მესამე პირს კომპენსაცია ან აუნაზღაურა სასამართლო ან/და არა სასამართლო ხარჯები;
 - დამზღვევმა არ განაცხადა და არ დაარეგისტრირა შემთხვევა საპატრულო პოლიციაში, გარდა სტიქიური მოვლენის და მინ(ებ)ის დაზიანების შემთხვევებისა. ამ შემთხვევაში სტიქიური მოვლენის ფაქტი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ;
 - დამზღვევმა უარი განაცხადა მზღვეველის წარმომადგენლის მონაწილეობაზე სადაზღვევო შემთხვევის გამომწვევი მიზეზების, მიყენებული ზიანის სიდიდისა და სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების მოკვლევა/მომიებაში.
 - დამზღვევმა არ შეასრულა მასზე წინამდებარე პირობებით დაკისრებული ვალდებულებები;
 - არ მიაწოდა მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის შესახებ ინფორმაცია (შეტყობინება) იმ ვადებში, რომელიც შეთანხმებულია პოლისითა და წინამდებარე პირობებით და აღნიშნული შეუტყობინებლობით არსებითად შეილახა მზღვეველის ინტერესები;
 - დამზღვევმა არ წარუდგინა მზღვეველს მის მიერ მოთხოვნილი ამ პირობებით გათვალისწინებული რომელიმე დოკუმენტი;

**დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

- დამზღვევმა უარი განაცხადა იმ საბუთების მზღვეველთვის გადაცემაზე, რომლებიც საჭიროა ზიანზე პასუხისმგებელი პირის მიმართ სუბროგაციული მოთხოვნის წასაყენებლად;
 - დაზღვეულ ინტერესთან მიმართებაში ადგილი ჰქონდა ორმაგ დაზღვევას, მაგრამ დამზღვევს ასეთი ორმაგი დაზღვევის შესახებ მზღვეველთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია წერილობითი ფორმით;
 - შემთხვევაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება დაზღვეული რისკის ხდომილება.
- 1.30.** საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

შენიშვნა: სადაზღვევო ანაზღაურების გადახდაზე დამზღვევს/მოსარგებლეს უარი წარედგინება წერილობითი ფორმით, რომელშიც მოყვანილი იქნება ანაზღაურებაზე უარის დასაბუთებული მიზეზები.

2. რა არის და როგორ განისაზღვრება სადაზღვევო თანხა და ფრანშიზა

- 2.1.** სადაზღვევო თანხა/ჯამური სადაზღვევო ლიმიტი არის ფულადი თანხის ზღვრული ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მზღვეველი დამზღვევს/მოსარგებლეს გადაუხდის სადაზღვევო ანაზღაურებას, თითოეული სადაზღვევო დაფარვის მიხედვით.
- 2.2.** დადგენილი სადაზღვევო თანხის/ჯამური სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში პოლისით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ქველიმიტი:
- თითოეული რისკისათვის;
 - თითოეული/ცალკეული სადაზღვევო შემთხვევისათვის/ზიანისთვის ან/და თითოეული დაზარალებულისათვის.
- 2.3.** თუ სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების შემდეგ, დამზღვევის მიერ დამატებითი პრემიის საფუძველზე არ მოხდება სადაზღვევო თანხის/ჯამური სადაზღვევო ლიმიტის აღდგენა, სადაზღვევო თანხა/ჯამური სადაზღვევო ლიმიტი შემცირდება ანაზღაურებული თანხის ოდენობით.
- 2.4.** ფრანშიზა წარმოადგენს თანხის იმ ოდენობას, რომელიც აკლდება მთლიან ანაზღაურებას და რომელზეც მზღვეველ არ არის პასუხისმგებელი.
- პირობითი ფრანშიზა – თანხობრივად გამოხატული პირობითი ზღვარი. თუ ზარალი ამ პირობით ზღვარზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მზღვეველი არ აანაზღაურებს. თუ ზარალი აღემატება ამ პირობით ზღვარს, მზღვეველი აანაზღაურებს ზარალს ფრანშიზის გამოკლების გარეშე;
 - უპირობო ფრანშიზა – ის მინიმალური თანხა, რომელიც ყოველთვის გამოაკლდება ზარალის ოდენობას;
 - თუ პოლისში ფრანშიზის ტიპი არ არის მითითებული, გამოიყენება უპირობო ფრანშიზა.
- 2.5.** ფრანშიზა შესაძლოა განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის სხვადასხვა მოცულობით.

3. პრემიის გადახდა

- 3.1.** წინამდებარე პირობების საფუძველზე დამზღვევის მიერ გადასახდელი სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის გრაფიკი განისაზღვრება შესაბამისი სადაზღვევო პოლისით;
- 3.2.** პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო პრემიის გადახდა ხორციელდება პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადის გასვლისას, პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში პოლისი ჩაითვლება ძალადაკარგულად მისი გაცემის მომენტიდან, მიუხედავად მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისა თუკი სადაზღვევო შემთხვევა დადგა, ამ პუნქტით განსაზღვრული, ხუთ დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, მზღვეველთან არ დასტურდება დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის დადგენილი წესით გადახდის ფაქტი და თუკი დამზღვევი ვერ წარმოადგენს ვალდებულების დადგენილი წესით შესრულების დამადასტურებელ საგადახდო დავალებას ან სხვა შესაბამის დოკუმენტს, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.
- 3.3.** სადაზღვევო პრემია შეიძლება გაიზარდოს სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, თუ გაიზრდება რისკი, შეიცვლება დაზღვეული ავტოტრანსპორტის გამოყენების მიზანი;
- 3.4.** თუკი დაზღვევის შესაბამისი პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ან მისი ნაწილის გადახდა ხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით, გადახდის ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენებით.
- 3.5.** თუკი დაზღვევის მოქმედება დამზღვევის ინიციატივით ან მზღვეველის მიერ დამზღვევის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო წყდება ვადამდე, ხოლო განვლილი სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება ან განცხადებულია ზარალი, რომელიც ჯერ არ არის დარეგულირებული, ან თუკი დაზღვევის ვადამდე შეწყვეტა ხდება დამზღვევის მიერ წინამდებარე

**დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;

- 3.6. პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, თუკი ავტოტრანსპორტის სრული განადგურება დადგა არასადაზღვევო შემთხვევის შედეგად, სადაზღვევო პოლისის ჩაითვლება გაუქმებულად ასეთი შემთხვევის თარიღიდან. ამასთან, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს შეწყვეტის თარიღისთვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემია, ხოლო თუკი შეწყვეტამდე მზღვეველის მიერ გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება, დამზღვევი ვალდებულია სრულად გადაიხადოს იმ პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პრემია, რომლის ვადამდე შეწყვეტაც ხდება;
- 3.7. პრემიის ერთჯერადად გადახდის შემთხვევაში, თუკი ავტოტრანსპორტის სრული განადგურება დადგა არასადაზღვევო შემთხვევის შედეგად, სადაზღვევო პოლისის ჩაითვლება გაუქმებულად ასეთი შემთხვევის თარიღიდან. ამასთან, მზღვეველი ვალდებულია დააბრუნოს შეწყვეტის თარიღისთვის გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეწყვეტამდე მზღვეველის მიერ გაცემულია სადაზღვევო ანაზღაურება;
- 3.8. მხარეები თანხმდებიან, რომ სადაზღვევო პრემიის გადახდის თარიღთან და ოდენობასთან, ასევე, დავალიანების (ასეთის წარმოშობის შემთხვევაში) დაფარვასთან და მისი დაუფარველობის შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მიზნით, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევთან კომუნიკაცია განახორციელოს დამზღვევის მიერ დაზღვევის განაცხად-ანკეტაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე ან ელ. ფოსტის მისამართზე, როგორც ტექსტური/წერილობითი შეტყობინების გაგზავნის, ისე ზეპირი კომუნიკაციის გზით და აღნიშნულ კომუნიკაციას ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც ქალაქის მატარებელზე განხორციელებულს.

3.9. სადაზღვევო პრემიის გადახდის წესების დარღვევა:

- 3.9.1. დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში ყოველი მომდევნო შენატანის გადახდის წესის დარღვევის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია შეაჩეროს სადაზღვევო მომსახურება დამზღვევის მიერ ფინანსური ვალდებულების სრულად შესრულებამდე. ამასთან, დავალიანების დაფარვის შემდეგ, თუკი დავალიანების წარმოშობის დღისა და დაფარვას შორის პერიოდი აღემატება 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეს, მზღვეველი დავალიანების პერიოდში დამდგარ შემთხვევებს აღარ განიხილავს სადაზღვევო შემთხვევებად იმის მიუხედავად მიიღო თუ არა დამზღვევმა მზღვეველისგან წერილობითი შეტყობინება და შესაბამისად უფლებამოსილია არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 3.9.2. დავალიანების თაობაზე წერილობითი შეტყობინების (როგორც ელ. ფოსტის ასევე ქალაქის მატარებელზე ან დამზღვევის მიერ დაზღვევის განაცხად-ანკეტაში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერზე) გაგზავნის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევს განუსაზღვროს ვადა (არაუმეტეს დავალიანების წარმოშობიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა) სადაზღვევო პრემიის დავალიანების დაფარვისთვის, რომლის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და გააუქმოს მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლის(ებ)ი;
- 3.9.3. ხელშეკრულების/პოლის(ებ)ის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს დამზღვევს შეწყვეტის თარიღისთვის გამომუშავებული სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან.

3.10. განსაკუთრებული შეთანხმება: წინამდებარე ხელშეკრულებაზე/პირობებზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს, რომ მზღვეველს აქვს უფლება, რომ თუკი ამავე ხელშეკრულება/პირობების გაფორმების თარიღისათვის მას მზღვეველის მიმართ ერიცხება სადაზღვევო პრემიის დავალიანება სხვა სადაზღვევო ურთიერთობის საფუძველზე, მის მიერ ამ ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე მზღვეველის სასარგებლოდ გადახდილი სადაზღვევო პრემია უპირატესად მიმართული იქნება ამგვარი დავალიანების დასაფარად, ხოლო დავალიანების დაფარვის შემდეგ ჩაითვლება წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების საფუძველზე განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის ნაწილის გადახდად.

4. ცვლილება დაზღვევის ხელშეკრულებაში

- 4.1. მზღვეველი გასცემს პოლისს დამზღვევის მიერ მზღვეველთვის წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. დამზღვევი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს აღნიშნულ ინფორმაციაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- 4.2. აუცილებელი წესით დაუყოვნებელ შეტყობინებას ექვემდებარება შემდეგი გარემოებები:
 - ა) ცვლილება უფლებამოსილ მძღოლთა ჩამონათვალში;
 - ბ) საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები უფლებამოსილი მძღოლების მონაწილეობით;
 - გ) ავტოტრანსპორტის მოდიფიკაცია;

**დეკონირებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

- დ) ცვლილებები ავტოტრანსპორტის გამოყენების წესში;
- ე) კორესპონდენციის მისამართის შეცვლა;
- ვ) ავტოტრანსპორტის გასხვისება

- 4.3.** შეტყობინების მიღებისთანავე მზღვეველი დამზღვევეს შეატყობინებს მის პოზიციას დაზღვევის გაგრძელებასთან დაკავშირებით. მზღვეველი უფლებამოსილი გააუქმოს პოლისი გაუქმების პირობების შესაბამისად, შეცვალოს დაზღვევის პირობები, ან დამზღვევისაგან მოითხოვოს დამატებითი პრემიის გადახდა.
- 4.4.** ნებისმიერი ცვლილება დაზღვევის ხელშეკრულებაში კეთდება წერილობითი ფორმით და შედის ძალაში მზღვეველისა და დამზღვევის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იცვლება დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი. აღნიშნული ცვლილება არ საჭიროებს მხარეთა ორმხრივ დამოწმებას და მზღვეველთან რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების ასახვა განხორციელდება დამზღვევის მიერ ელ. ფოსტის საშუალებით (რომელსაც მიუთითებს მზღვეველი) გაკეთებული შეტყობინების და ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით მიწოდების საფუძველზე, ან სხვა შემთხვევაში ხელმოწეილი განაცხადის საფუძველზე მზღვეველისთვის ცვლილებების შესახებ შეუტყობინებლობა აძლევს მას უფლებას უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

5. სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტა/გაუქმება:

- 5.1.** სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს წინასწარი 3 (სამი) დღიანი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
- მზღვეველის ინიციატივით სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტისას დამზღვევის ვალდებულება პრემიის გადახდასთან დაკავშირებით შემოიფარგლება გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული პრემიით, პოლისის ძალაში ყოფნის პერიოდის შესაბამისად, წინამდებარე პირობების 3.5 - 3.8 პუნქტების გათვალისწინებით.
 - დამზღვევის ინიციატივით სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტისას დამზღვევის ვალდებულება პრემიის გადახდასთან დაკავშირებით შემოიფარგლება გაუქმების თარიღისთვის გამომუშავებული პრემიით და დამატებით 30 კალენდარული დღის შესაბამისი პრემიით, წინამდებარე პირობების 3.5 - 3.8 პუნქტების გათვალისწინებით. თუმცა, თუ ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება დაზღვეული ავტოსატრანსპორტის სხვა ავტოსატრანსპორტით ჩანაცვლების მიზნით, მაშინ დამზღვევი აღარ გადაიხდის დამატებით 30 დღის პრემიას, იმ პირობით, რომ ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალება მზღვეველთან დაიზღვევა არანაკლებ 12 თვის ვადით და მისი სადაზღვევო თანხა არ არის გაუქმებული პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხაზე ნაკლები.
- 5.2.** დამზღვევის ინიციატივით სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტისას, შესაბამისი წერილობითი შეტყობინების მზღვეველთვის წარმოდგენისთანავე, წყდება მზღვეველის ვალდებულება ანაზღაუროს წერილობითი შეტყობინების წარმოდგენიდან სადაზღვევო ხელშეკრულების შეწყვეტის პროცედურის დასრულებამდე დამდგარი შემთხვევები, თუნდაც სადაზღვევო ხელშეკრულება ითვალისწინებდეს ამგვარი შემთხვევის ანაზღაურების პირობას.
- 5.3.** მხარეები თანხმდებიან, რომ გარდა მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებისა, წინამდებარე ხელშეკრულება/პირობების და მის საფუძველზე გაცემული სადაზღვევო პოლის(ებ)ის ვადამდე შეწყვეტისას, შესაძლებელია მხარეთა შორის კომუნიკაცია და შეთანხმება შედგეს მზღვეველის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით დამზღვევისათვის გაგზავნილი უნიკალური კოდის, დამზღვევის მიერ დადასტურების გზითაც, რასაც მოჰყვება იგივე იურიდიული შედეგი, როგორც ქაღალდის მატარებელზე შესრულებულ ორმხრივ შეთანხმებას.

6. სადაზღვევო აქტი

მზღვეველი ვალდებულია, შეადგინოს სადაზღვევო აქტი 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც მიიღებს დამზღვევისგან სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების, ზიანის ოდენობისა და მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის განსაზღვრისა და დადგენისათვის ყველა აუცილებელ დოკუმენტსა და ინფორმაციას, წინამდებარე პირობების შესაბამისად.

7. დამზღვევის ვალდებულებები (როგორ მოვიქცეთ) სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

7.1. დამზღვევი ვალდებულია:

- დაუყოვნებლივ გამოიძახოს საპატრულო პოლიცია შემთხვევის ადგილზე და მიიღოს ყველა ზომა, რათა პატრულის მოსვლამდე შენარჩუნებულ იქნას საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სურათი. ამასთან, დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს მზღვეველს და არ დაძრას/გადაადგილოს ავტოსატრანსპორტი შემთხვევის

**დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

ადგილიდან მზღვეველის წარმომადგენლების მისვლამდე და მათ მიერ სიტუაციის შესწავლამდე (შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ფოტოგრაფირება);

- ავტოსატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის მომენტში მინ(ებ)ის ან სხვა მსხვრევადი ნაწილების (მაშუქი (ფარი), დამატებითი მაშუქი და სხვა) ასხლეტილი ქვით ან კენჭით დაზიანების შემთხვევაში, ასევე სტიქიური მოვლენების ან საგნების ვარდნის შედეგად ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების შემთხვევაში საპატრულო პოლიციის გამოძახება სავალდებულო არ არის, თუ ამაზე არ იქნება მზღვეველის სპეციალური მითითება;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოს მზღვეველის სუბროგაციული მოთხოვნა მესამე პირების მიმართ, რომლებიც პასუხს აგებენ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებულ ზიანზე, რადგან სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისას, მზღვეველის მიერ გაცემული თანხის ფარგლებში მასზე გადადის ის მოთხოვნის უფლება, რომელიც დამზღვევეს გააჩნია ზარალის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირის/ბრალეული მხარის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევის მიზეზით მზღვეველი ვერ ისარგებლებს სუბროგაციის წესით მოთხოვნით, მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურებაზე, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, უკან მოითხოვოს თანხის დაბრუნება;
- დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ ევროინს ასისტანსის 24-საათიანი ტელეფონის ნომერზე **+995 32 2203333**, ხოლო 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში მიაწოდოს წერილობითი შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- მიაწოდოს მზღვეველს კომპეტენტური ორგანოების მიერ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით გაცემული ყველა საჭირო დოკუმენტი;
- გაუწიოს მზღვეველს დახმარება სადაზღვევო შემთხვევის მიზეზებისა და შედეგების დადგენაში საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში;
- თუკი შემთხვევის ადგილზე ან მიმდებარედ მიმდინარეობს ვიდეო მონიტორინგი, მონიტორინგის განმახორციელებელი პირისგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილების შესაბამისად, ამასთან, წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება/პირობებზე ხელმოწერით დამზღვევი ადასტურებს მზღვეველისათვის წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ვიდეო-ჩანაწერის გამოთხოვის უფლებამოსილების წერილობით მინიჭების ფაქტს, შესაბამისად, მზღვეველი არის უფლებამოსილი, დამზღვევის დამატებითი ნებართვის გარეშე, თავად გამოითხოვოს მესამე პირებთან არსებული დამზღვევის პერსონალური მონაცემები;
- მიაწოდოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტები:
 - ა) წერილობითი შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა საბანკო რეკვიზიტების მითითებით;
 - ბ) ავტოსატრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა;
 - გ) იმ პირის მართვის და პირადობის მოწმობა, რომელიც მართავდა ავტოსატრანსპორტს შემთხვევის მომენტში;
 - დ) ცნობა საპატრულო პოლიციიდან მომხდარის შესახებ (შემთხვევის დადგომაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით);
 - ე) ცნობა მძღოლის ნარკოტიკულ, ფსიქოტროპულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ ყოფნის ფაქტის დადგენის თაობაზე, გაცემული არაუგვიანეს შემთხვევის დადგომიდან 2 საათისა, ასევე ალკოატესტი, იმ შემთხვევაში თუკი შემთხვევის ადგილზე არ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით ბრალეული მძღოლი არ დაეთანხმა საპატრულო პოლიციის მიერ ჩატარებულ ტესტს.

7.2. ავტოსატრანსპორტის ძარის დაზღვევისას დამზღვევი, ასევე, ვალდებულია:

- მიიღოს ყველა შესაძლებელი და მიზანშეწონილი ზომა ავტოსატრანსპორტის გადარჩენის, შემდგომი დანაკარგის ან ზიანის თავიდან ასაცილებლად და/ან შესამცირებლად;
- არ დაიწყოს ავტოსატრანსპორტის შეკეთება, სანამ მზღვეველისგან არ მიიღებს შესაბამის წერილობით დასტურს შეკეთების დაწყებაზე;
- მიაწოდოს მზღვეველს შემდეგი დამატებითი საბუთები / მტკიცებულებები:
 - ა) ავტოსატრანსპორტის გატაცებისას სისხლის სამართლის საქმის წარმოების/საგამომიებო მოქმედებების დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი, მოწმეების სახელი, გვარი, საკონტაქტო დეტალები, პირადობის მოწმობის ნომერი;
 - ბ) ავტოსატრანსპორტის გარეგანი დაზიანებისას შემთხვევის ხასიათიდან გამომდინარე: ცნობა საპატრულო პოლიციიდან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ / ვანდალიზმის შესახებ სისხლის სამართლის საქმის წარმოების/საგამომიებო მოქმედებების დაწყების დამადასტურებელი დოკუმენტი / ცნობა გარემოს ეროვნული სააგენტოდან ამინდის შესახებ.

7.3. მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევისას დამზღვევი, ასევე, ვალდებულია:

დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე

- დროულად შეატყობინოს მზღვეველს მესამე პირის დაზიანებული ქონების დათვალიერების/ექსპერტიზის ჩატარების დრო და ადგილი (მის შეკეთებამდე) და ზარალის ოდენობის განსაზღვრისა და ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით მისცეს საშუალება ჩაატაროს დამოუკიდებელი ექსპერტიზა;
- სისტემატურად შეატყობინოს მზღვეველს შემთხვევის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების კვლევის შესახებ და, აგრეთვე, მიიღოს მონაწილეობა ასეთ გამოკვლევაში;
- მიიღოს ყველა ზომა იმისათვის, რომ დაზარალებულმა მხარემ, მზღვეველის მიერ ზარალის ანაზღაურებაზე მოთხოვნის განხილვამდე, არ მიმართოს სასამართლოს;
- საჭიროების შემთხვევაში, გადასცეს მზღვეველს ან მზღვეველის მიერ მითითებულ პირს შემდეგი უფლებები:
 - ა) წარადგინოს დამზღვევი/დაზღვეული პირი სასამართლო პროცესში, ყველა პროცესუალური უფლებამოსილებით, ქონებრივ მოთხოვნებზე პასუხისმგებლობის აღიარების (სარჩელის ცნობის) და მორიგების უფლების ჩათვლით;
 - ბ) აწარმოოს მოლაპარაკებები დაზარალებულ პირებთან და მათ წარმომადგენლებთან.
- მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე არ აღიაროს მესამე პირის მოთხოვნა ზარალის ანაზღაურებაზე, არ აიღოს ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულება და არ აანაზღაუროს მიყენებული ზიანი;
- მიაწოდოს მზღვეველს შემდეგი დამატებითი დოკუმენტები:
 - ა) სამედიცინო დასკვნა და სხვა მსგავსი დოკუმენტები მესამე პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული დაზიანების სიმძიმისა და ხასიათის ან მისი გარდაცვალების მიზეზის შესახებ. აგრეთვე, ინფორმაცია ზიანის დადგომის მომენტისათვის დაზარალებულის ალკოჰოლურ, ნარკოტიკულ ან ტოქსიკურ ნივთიერებათა ზეგავლენის ქვეშ შესაძლო ყოფნის შესახებ;
 - ბ) ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები (დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში);
 - დ) საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მესამე პირთა მიმართ მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის გაწეულ ხარჯებს;
 - ე) სოციალური დაზღვევის ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ დაზარალებულის ან მისი მემკვიდრეობისათვის სავალდებულო სოციალური დაზღვევის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად განსახორციელებელი გადახდების ოდენობას;
 - დ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, სადაც დაფიქსირებულია დამზღვევის მიერ მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის ოდენობა, თუ პრეტენზიის განხილვა მოხდა სასამართლო წესით; ხოლო, თუ გადახდა განხორციელდა მხარეთა შეთანხმებით - ასეთი შეთანხმების ამსახველი წერილობითი დოკუმენტი.

7.4. მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევისას:

- დამზღვევმა უნდა უზრუნველყოს, რომ დაზარალებულმა პირმა ან მისმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა:
 - ა) დაუყოვნებლივ მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას და წერილობით შეატყობინოს მზღვეველს შემთხვევის შესახებ;
 - ბ) გაიაროს სამედიცინო გამოკვლევა მზღვეველის მიერ დანიშნულ ექიმთან (თუ მზღვეველი ამას საჭიროდ ჩავთვლით).
- დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა შეატყობინოს მზღვეველს ამგვარის შესახებ.
- დამზღვევმა, ასევე, უნდა მიაწოდოს მზღვეველს შემდეგი დამატებითი დოკუმენტები:
 - ა) სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ზიანის მიყენების თარიღს და დიაგნოზს (სამედიცინო ფურცლის ასლი, სამედიცინო ექსპერტიზის მიერ შედგენილი დოკუმენტი, გარდაცვალების ცნობის დამოწმებული ასლი და ა.შ.);
 - ბ) დაზარალებულების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
 - გ) გარდაცვალების შემთხვევაში ცნობა გარდაცვალების შესახებ და მემკვიდრეობის დამადასტურებელი საბუთები;
 - დ) ცნობა საპატრულო პოლიციიდან შემთხვევის შესახებ.

7.5. კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკისა და თავისებურების გათვალისწინებით, მზღვეველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტები ან კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეამციროს მოთხოვნილი დოკუმენტების ნუსხა. ამასთან, ხსენებული წარმომადგენს მხოლოდ მზღვეველის უფლებამოსილებას და დამზღვევის მიერ მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

**დეკონინრებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

7.6. თუკი სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის შემდეგ გამოვლენილი გარემოებების შედეგად დადგინდება, რომ იგი გაცემულია წინამდებარე პირობების დარღვევით, დამზღვევი/დაზღვეული/მოსარგებლე ვალდებულია ამგვარი გარემოების დადგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, სრულად დაუბრუნოს მზღვეველს არასწორად მიღებულ სადაზღვევო ანაზღაურება.

8. როგორ ხდება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა

8.1. მზღვეველი გასცემს სადაზღვევო ანაზღაურებას მზღვეველის მიერ სადაზღვევო აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, თუ ადგილი არა აქვს ანაზღაურების გადადებას, როგორც ამას წინამდებარე პირობების შესაბამისი სექცია ითვალისწინებს. ამასთან, ვანდალიზმის, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა არაუადრეს შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვისა.

8.2. მზღვეველი უფლებას იტოვებს გადაავადოს სადაზღვევო ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ დაზღვეული რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის/უფლებამოსილი მძღოლის/მოსარგებლის მიმართ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები.

8.3. იმ შემთხვევაში, თუკი წინასწარი საგამოძიებო დოკუმენტაციით ირკვევა, რომ სადაზღვევო შემთხვევა ექვემდებარება ანაზღაურებას, მზღვეველი უფლებამოსილია გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე პირობების შესაბამისად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების დასრულების შემდეგ შეიცვალა ვითარება, მზღვეველი უფლებამოსილია მოითხოვოს არასწორად გადახდილი (ანაზღაურებული ზარალის) თანხის უკან დაბრუნება, ხოლო დამზღვევი ვალდებულია უპირობოდ დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა მისი წამოყენებისთანავე.

8.4. სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობის გამოთვლა რეგულირდება წინამდებარე პირობების შესაბამისი დაზღვევის სექციების დებულებების მიხედვით.

8.5. ზარალის გარემოებების და/ან მოცულობის დაზუსტების მიზნით, როგორც დამზღვევი, ასევე მზღვეველი უფლებამოსილია დანიშნოს დამოუკიდებელი ექსპერტიზა. ექსპერტიზის ხარჯებს გადაიხდის ექსპერტიზის მომთხოვნი მხარე.

8.6. სადაზღვევო პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება შემცირდება გადაუხდელი პრემიის ოდენობით, თუ ადგილი აქვს სადაზღვევო თანხის/ჯამური სადაზღვევო ლიმიტის ამოწურვას სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის შედეგად.

8.7. თუ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის თარიღისთვის დამზღვევს ერიცხება დავალიანება მზღვეველს მიმართ, მიუხედავად დავალიანების წარმოშობის საფუძვლისა, მზღვეველი უფლებამოსილია ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამისი დავალიანების ოდენობა სრულად. თუ სადაზღვევო პრემია დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში, გამოსაქვითი თანხა გამოითვლება ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ანაზღაურების გაცემის თარიღისთვის;

8.8. პრემიის განვადებით გადახდის შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ზარალის ოდენობა აღემატება სადაზღვევო თანხის 40%-ს, გასაცემ სადაზღვევო ანაზღაურებას აკლდება ის თანხა, რომელიც დამზღვევს განვადების პირობების მიხედვით დარჩენილ პერიოდში აქვს გადასახდელი, ხოლო ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - სადაზღვევო პრემიის არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამ პუნქტის საფუძველზე ჩათვლილი თანხები ჩათვლება გადახდილად სადაზღვევო პრემიის ოდენობაში.

9. დავების განხილვის წესი

წინამდებარე პირობების საფუძველზე განხორციელებულ დაზღვევასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დავები გადაწყდება მოლაპარაკებების გზით, ხოლო თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. კონფიდენციალურობა

10.1. დამზღვევისა და მზღვეველის მიერ ერთმანეთისთვის მიწოდებული ყველა ინფორმაცია (მიუხედავად მისი ზეპირი, თუ წერილობითი ფორმისა), რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ითვლება კონფიდენციალურად და წინასწარი შეთანხმების გარეშე არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს, თუ ეს დაკავშირებული არ არის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებასთან ან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

10.2. მიუხედავად ზემოხსენებულისა, შესაბამისი სადაზღვევო პოლისის ხელმოწერით მზღვეველს დამზღვევისაგან ენიჭება უპირობო უფლება, დამზღვევის შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დამზღვევთან ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე ასახოს შპს

**დეკონირებულია ნოტარიუსის ხატია ბერიძის მიერ მის სანოტარო ბიუროში, 2022 წლის 07 მარტის
სანოტარო მოქმედების აქტის #220232880 საფუძველზე**

„სადაზღვევო-საინფორმაციო ბიუროს“ საინფორმაციო ბაზაში, რაც დამზღვევის მონაცემებს ხელმისაწვდომს ხდის სხვა სადაზღვევო კომპანიებისათვის. ასევე, წინამდებარე ხელშეკრულება/პირობებზე ხელმოწერით დამზღვევი აცხადებს თანხმობას, რომ მზღვეველმა ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზიდან მიიღოს ინფორმაცია დამზღვევის (მოსარგებლე, უფლებამოსილი მძღლოლი) მიერ საგზაო მოძრაობის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევების შესახებ. შესაბამისად, წინამდებარე პირობებზე ხელმოწერით / თანხმობით დამზღვევი მზღვევეს ანიჭებს უფლებას დამატებითი თანხმობის გარეშე:

- დაამუშავოს დამზღვევის პერსონალური ინფორმაცია სადაზღვევო მომსახურების გაწევის ან/და შეთავაზების ან/და სადაზღვევო მომსახურების დანერგვის ან/და კვლევის მიზნებისათვის;
- მზღვეველის ხელთ არსებული დამზღვევის პერსონალური და სხვა ინფორმაცია მიაწოდოს ზემოაღნიშნულ ბიუროს მასთან შეთანხმებული წესით.
- მიიღოს დამზღვევის პერსონალური ინფორმაცია მესამე პირებისაგან; ასევე, მიაწოდოს დამზღვევის შესახებ პერსონალური და სხვა ინფორმაცია მესამე პირებს დამზღვევის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

სექცია VI. დამატებითი დაფარვები

სერვისი +

თუ პოლისი ითვალისწინებს დაფარვას „სერვისი +“, დამზღვევეს აქვს უფლება სადაზღვევო პერიოდში ისარგებლოს შემდეგი მომსახურებით უფასოდ:

- ევაკუატორის მომსახურება - (იმ შემთხვევაში თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება თავისი სვლით ვერ გადაადგილდება და მისი ნებადართული მაქსიმალური მასა არ აღემატება 3.5 ტონას); მომსახურება მოქმედებს თბილისის მასშტაბით, ხოლო, თუ ავტომობილი დაზიანდა საქართველოს რეგიონში, მაშინ მისი ევაკუატორით გადაყვანა ხორციელდება უახლოეს რეგიონალურ ცენტრამდე.
- სატრანსპორტო საშუალების დაქოქვას;
- ადგილზე საწვავის მიტანას, (სერვისის გამოყენების შემთხვევაში საწვავის ღირებულებას იხდის დაზღვეული);
- მოსარგებლის კუთვნილი სათადარიგო საბურავით ჩანაცვლებას ან / და გაბერვას.

მძღლოლის მომსახურება:

თუ პოლისი ითვალისწინებს დაფარვას „მძღლოლის მომსახურება“, დამზღვევეს აქვს უფლება სადაზღვევო პერიოდში ისარგებლოს შემდეგი მომსახურებით უფასოდ:

დაზღვევის პერიოდის მანძილზე მძღლოლის მომსახურება გამოძახებით წელიწადში 12ჯერ, მაქსიმუმ თვეში ერთხელ. მძღლოლის მომსახურება გამოძახებით ნიშნავს, რომ ავტოსატრანსპორტი გამართულ მდგომარეობაშია, მაგრამ დამზღვევეს არ შეუძლია მისი მართვა. დამზღვევეს გამოეგზავნება მძღლოლი და მისივე ავტოსატრანსპორტით მიიყვანს მითითებულ ერთ მიმსამართზე.

მომსახურება ვრცელდება თბილისსა და მის შემოგარენში წინასწარ განსაზღვრული სიის მიხედვით:

https://docs.google.com/spreadsheets/d/1xy4P3VkJGkPgvuBj8X98XeLAB9Kt5RRrlwvI3r_W123s/edit?usp=sharing

* „სერვისი +“-ის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში ერთხელ;

** შემდეგი მომსახურებები: სატრანსპორტო საშუალების დაქოქვა, ადგილზე საწვავის მიტანა და საბურავის შეცვლა ვრცელდება თბილისსა და მის შემოგარენში წინასწარ განსაზღვრული სიის მიხედვით: https://docs.google.com/spreadsheets/d/1xy4P3VkJGkPgvuBj8X98XeLAB9Kt5RRrlwvI3r_W123s/edit?usp=sharing

*** „სერვისი +“-ით სარგებლობის უფლება შეზღუდულია და არ მიეწოდება დაზღვეულს/მოსარგებლეს, თუკი დამზღვევის მიერ დარღვეულია სადაზღვევო პრემიის ანგარიშსწორების წესი და ამავე დარღვევის ვადა აღემატება ერთ კალენდარულ კვირას.